

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში  
2016 წელი

სტრატეგიული მიმართულება 1: სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება

პრიორიტეტული ღონისძიება 1.1: „ბიზნესის დახურვის და გადახდისუნარობის პროცედურების გაუმჯობესება“

პრიორიტეტული ღონისძიების ფარგლებში, დაგეგმილია სამეწარმეო და გადახდისუნარობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება. ამ მიმართებით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი GIZ-ის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფის მიერ გადაიხედა გადახდისუნარობის შესახებ არსებული კანონმდებლობა, გამოვლენილ იქნა ამ სფეროში არსებული პრობლემური საკითხები, გაანალიზდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები გადახდისუნარობის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი კანონპროექტის შემუშავების მიზნით. ამჟამად, ხორციელდება ინტენსიური მუშაობა, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე გადახდისუნარობის შესახებ კანონპროექტის შემუშავების მიმართულებით.

ამასთან, აღსანიშნავია საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში გადახდისუნარობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხილვა, რომელიც შემუშავებულ იქნა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის (სიფა) მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) მხარდაჭერით “გადახდისუნარობის რეფორმის ადვოკატირების კამპანიის” ფარგლებში.

გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს აქტიური ჩართულობით და დონორთა მხარდაჭერით მუშავდება „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონპროექტი, განსაკუთრებით, მისი ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

პრიორიტეტული ღონისძიება 1.2: „მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების განახლება“

პრიორიტეტული ღონისძიების ფარგლებში „საქსტატის“ მიერ განხორციელდა მცირე და საშუალო საწარმოთა არსებული განმარტების ანალიზი და შესწავლილი იქნა საერთაშორისო პრაქტიკა. მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტება, რომელიც ამჟამად გამოიყენება საქსტატში ბიზნეს სტატისტიკის საწარმოებისათვის,

შემუშავებულია 2002 წელს და ეყრდნობა საწარმოთა ბრუნვასა და დასაქმებულთა საშუალო წლიურ რაოდენობას.

საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ საწარმოთა ზომის განსაზღვრისას სხვადასხვა კრიტერიუმები გამოიყენება, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია საწარმოთა ზომის განსაზღვრა დასაქმებულ პირთა რაოდენობის მიხედვით (ევროსტატის საწარმოთა ზომის განსაზღვრის კრიტერიუმის თანახმად **მიკრო საწარმო** - 10 კაცზე ნაკლები დასაქმებულთა რაოდენობა, **მცირე საწარმო** - 10-49 კაცი დასაქმებულთა რაოდენობა, **საშუალო საწარმო** - 50-249 კაცი დასაქმებულთა რაოდენობა).

ევროსტატის მეთოდოლოგიის მიხედვით, 2014 წელს საქართველოს მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების წილი საწარმოთა მთლიან რაოდენობაში შეადგენს 99,6% (საქართველოში დღეს არსებული განმარტების შესაბამისად - 94%), ბრუნვის მოცულობაში - 66,6% (საქართველოში დღეს არსებული განმარტების შესაბამისად - 18,1%), პროდუქციის გამოშვებაში - 61,1% ((საქართველოში დღეს არსებული განმარტების შესაბამისად - 19,8%), დასაქმებულთა რაოდენობაში - 68,9% (საქართველოში დღეს არსებული განმარტების შესაბამისად - 43,8%).

ამასთან, ბრუნვის მაჩვენებლის კრიტერიუმის გამოყენების შემთხვევაში, დიაპაზონის განსაზღვრისას გამოყენებულ იქნა მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (Purchasing Power Parities).

დაინტერესებულ მხარეებთან შედგა, ანალიზის შედეგად შემუშავებული 2 ვარიანტის განხილვა: ზომის განსაზღვრისას მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობის კრიტერიუმის გამოყენება (**ვარიანტი 1**) და ზომის განსაზღვრისას, როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, ასევე, ბრუნვის მაჩვენებლის კრიტერიუმის გამოყენება (**ვარიანტი 2**). შედეგად, შემუშავდა რეკომენდაცია მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების განახლებისთვის, როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, ასევე, საწარმოთა ბრუნვის მიხედვით.

### პრიორიტეტული ღონისძიება 1.3: „საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება“

პრიორიტეტული ღონისძიების ფარგლებში, განხორციელდა საწარმოთა სტატისტიკის არსებული არეალის და მეთოდოლოგიის გადახედვა და საერთაშორისო/ევროპული გამოცდილების შესწავლა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რომლის დროსაც მოხდა, ასევე, ევროსტატის მიერ მომზადებული ბიზნეს სტატისტიკის სექტორული მიმოხილვის გაანალიზება. ამჟამად, მიმდინარეობს საწარმოთა სტატისტიკის არეალის გაფართოებისთვის შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა.

### პრიორიტეტული ღონისძიება 1.4: „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება“

მეწარმეობის განვითარების სააგენტო აქტიურად მუშაობს მსგავსი ტიპის ორგანიზაციების და წარმატებული მსოფლიო მაგალითების გაანალიზების და მათი დანერგვის მიმართულებით. ამ მიზნით განხორციელდა რამდენიმე ვიზიტი დასავლეთ ევროპის და აღმოსავლეთ აზიის მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებში. ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოთა საჭიროებების ანალიზი წარმოადგენს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. აღნიშნული მიზნით ხდება თემატური შეხვედრების ორგანიზება სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორში მოქმედი საქმიანი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მოხდა მათ წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი მხარდაჭერის აღმოჩენა.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ სტარტაპების, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების საქმიანობის და მათი საჭიროებების ანალიზის მიზნით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, შეისწავლა შემდეგი ქვეყნების გამოცდილება: აშშ, ჩინეთი, გერმანია, ესტონეთი, ისრაელი, დიდი ბრიტანეთი, კორეა და ჰოლანდია.

კერძოდ, შემუშავდა **საკანონმდებლო პაკეტი**, რომელიც მოიცავს როგორც ინოვაციების შესახებ კანონს, ასევე შესაბამის კანონმდებლობებში ცვლილებების პაკეტს, როგორც არის გრანტების შესახებ კანონი. საკანონმდებლო პაკეტი აშშ-ს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით მომზადდა და ეფუძნება **აშშ-ს ბაი დოლის აქტს (Bayh Dole Act)**. ასევე, ბიზნეს ინკუბატორებისა და აქსელერატორების მართვის შესწავლის მიზნით სააგენტომ გაიზიარა აშშ-ს გამოცდილება, რის საფუძველზეც უნივერსიტეტების ბაზაზე მიმდინარეობს ბიზნეს ინკუბატორებისა და აქსელერატორების ფორმირება სააგენტოს კოორდინაციით.

2016 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს (TTU) შორის გაფორმდა მემორანდუმი საერთო კვლევითი და განვითარების აქტივობების განსახორციელებლად. მემორანდუმის ფარგლებში, ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან არსებული ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრის “Mektory” ბაზაზე დაგეგმილია საქართველოს წარმომადგენლობის, ე.წ. კულტურული ოთახის, გახსნა.

ქ. ლონდონში შედგა სააგენტოს წარმომადგენელთა ვიზიტი Crowdfunding სისტემის რეგულაციის საკითხებში გამოცდილების გაზიარების, ტექნოლოგიური გადაცემის ცენტრის მოდელის, ინოვაციების დაფინანსებისა და მართვის მექანიზმების, კატაპულტების სისტემის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით (27.11.2016-01.12.2016წ.).

სამხრეთ კორეის რესპუბლიკაში, ქ. სეულში, სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ინფორმაციული საზოგადოების ეროვნული ასოციაციის (NIA) მიერ დაგეგმილ „ინფორმაციასთან დაშვების ცენტრების მართვისა და სტრატეგიული განვითარების შესახებ“ ტრენინგში (10-14 ოქტომბერი, 2016 წ.). ტრენინგზე მოხდა კორეის და ასევე იმ ქვეყნების მთავრობების მიერ გამოცდილების გაზიარება, რომელთაც საკუთარ

ქვეყნებში განხორციელებული აქვთ ინფორმაციასთან დაშვების ცენტრების პროექტები.

2016 წლის 13 დეკემბერს კორეის მთავრობის მხარდაჭერის ფარგლებში თბილისში გაიხნა პირველი ინფორმაციაზე დაშვების ცენტრი, სადაც სპეციალიზირებული დანადგარების საშუალებით ნებისმიერ მოქალაქეს, მათ შორის უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე პირს, შესაძლებლობა ეძლევა მოახდინოს საკუთარი ბიზნეს იდეების ფორმირება და შესაბამისი ცოდნის მიღება (ტრენინგები, ბიზნეს ლიტერატურა). აღნიშნული ემსახურება მეწარმეობის ინკლუზიურ განვითარებას.

ასევე, აღსანიშნავია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაწყებული პროექტი „ღია დიალოგი ბიზნესთან“, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს შეხვედრები რეგიონებში ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან და კონკრეტული პრობლემების მოსმენა, შემდეგ კი მათი გადაჭრის გზებზე მუშაობა. პროექტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები: ზუგდიდი (9 ივნისი), ანაკლია (27 ივნისი) ქუთაისი (24 ივნისი), ქარელი (30 ივნისი), რუსთავი (7 ივლისი), ოზურგეთი (11 ივლისი), ბათუმი (13 ივლისი), ამბროლაური (19 აგვისტო), ნინოწმინდა (25 აგვისტო), ყვარელი (29 აგვისტო). შეხვედრებზე გამოკვეთილი საკითხებისა და პრობლემების ანალიზის შემდეგ დაიგეგმა განმეორებითი შეხვედრები უკვე კონკრეტულ თემებზე რელევანტური უწყებების მონაწილეობით, სადაც მეწარმეებმა ადგილზე მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია და მხარდაჭერა. პროექტის ფარგლებში, 2016 წლის 16 სექტემბერს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, თბილისში რეგიონული ბიზნესის ფორუმი გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს ყველა რეგიონიდან 250 მეწარმე დაესწრო.

მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებებზე მორგებული სერვისების დანერგვის მიზნით, ორგანიზება გაუკეთდა მცირე და საშუალო საწარმოების მსოფლიო ფორუმის ხელმძღვანელის ტუნჩ უიანიკის ვიზიტს საქართველოში (17-19 ივლისი, 2016). მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ახალი საპილოტე პროექტის ფარგლებში შეიქმნება ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, რომელსაც „მცირე და საშუალო საწარმოების ფორუმი“ „საქართველოს სავაჭრო-პალატასთან“ ერთად განახორციელებს. ერთიანი ელექტრონული სივრცის მეშვეობით, ქართული მცირე და საშუალო ბიზნესი საერთაშორისო პარტნიორების მოძიებასა და დონორებთან ურთიერთობას შეძლებს. პროგრამა სამ ნაწილს აერთიანებს. ესენია: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, საერთაშორისო ბაზრებში ჩართულობა და ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმა. საქართველოში ვიზიტის მთავარი მიზანი სწორედ ამ ინიციატივის ფარგლებში დიაგნოსტიკური კვლევის მომზადება იყო. აღნიშნული დოკუმენტი პროგრამის განხორციელებას დაედება საფუძვლად.

პრიორიტეტული ღონისძიება 1.5: „საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება“

ღონისძიების ფარგლებში, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის და სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, როგორც კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის პლატფორმა. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით (N1-1/48, 03.02.2016წ.) დამტკიცდა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა და აღნიშნული საბჭოს დებულება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომა ჩატარდა 2016 წლის 29 ივლისს, ხოლო მე-2 სხდომა შედგა 2016 წლის 3 ოქტომბერს.

პრიორიტეტული ღონისძიება 1.6: “პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სისტემის შექმნა”

ღონისძიების ფარგლებში, დაწყებულია რეგულირების გავლენის შეფასების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი, რომლის საფუძველზეც შემუშავდება რეგულირების გავლენის შეფასების სისტემის საქართველოსთვის რელევანტური მოდელი. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით მომზადდა საპილოტე რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის პროექტზე. ასევე, მომზადდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი.

სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

პრიორიტეტული ღონისძიება 2.1: „ფინანსური განათლების გაუმჯობესება“

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ჯამში გადამზადებულია პროგრამის 8 840 ბენეფიციარი. ტრენინგების ფარგლებში, სასწავლო კურსის ნაწილი დაეთმო ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ფინანსური განათლების გაუმჯობესების აქტივობების ფარგლებში, ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერით, ეროვნული ბანკის მიერ მომზადდა და დაიბეჭდა ინფორმაციული და ადვილად აღსაქმელი საგანმანათლებლო ბროშურები (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ჯამში 10 000 ცალი), როგორც მცირე ბიზნესებისთვის, ასევე მომავალი ბინათმესაკუთრებისათვის. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერით, მომზადდა მოკლე საგანმანათლებლო ვიდეოები ფინანსური მომსახურების მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. აღნიშნული ვიდეოები განთავსებულია ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე (<http://nbg.gov.ge/cp/>) და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ბროშურები მცირე ბიზნესებისთვის რეგიონული განვითარების ასოციაციის „მიკრო და მცირე

მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის“ 250 ბენეფიციარს დაურიგდა. ეს პროგრამა განხორციელდა ინიციატივის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში და მიზნად რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას ისახავს.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობისთვის (SBFIC) ჩართულობით, დაიწყო მუშაობა მცირე და საშუალო საწარმოების ჭარბვალდებულების კვლევაზე, რომლის შედეგებიც, 2017 წლის მე-3 კვარტალში იქნება ხელმისაწვდომი. აღნიშნული კვლევა საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საკვანძო ინფორმაციას მიაწვდის SME სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის ეფექტური და ქმედითუნარიანი ნაბიჯების გადასადგმელად.

ამასთან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განაახლა 2011 წლის მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი, რომელიც ძალაში შევა 2017 წლის აპრილიდან. აღნიშნული წესის ფარგლებში ფინანსური ინსტიტუტები ვალდებული იქნებიან გარკვეული თანხის ლიმიტის ფარგლებში, როგორც ფიზიკურ ასევე, იურიდიულ პირებს გაუწიონ მომსახურება ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მოცემული წესის ცვლილება ასევე, გავრცელდება მცირე და საშუალო ბიზნესზე, რაც ხელს შეუწყობს მათი უფლებების უფრო მეტად დაცვას.

დაბოლოს, ქვეყანაში ფინანსური განათლების ამაღლების მიზნით, „ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი გეგმავს 2017 წლის განმავლობაში განავითაროს საგანმანათლებლო ვიდეოების ციკლი; ვიდეოების გარკვეული ნაწილი სწორედ მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს დაეთმობა.

2016 წლის განმავლობაში, რეგულარულად ხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, ასევე 2017 წლისთვის იგეგმება მეწარმეების ტრენინგების ორგანიზება საგადასახადო ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით.

2016 წელს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში ეკონომიკურ-სამართლებრივ საკითხთა კომიტეტი შეიქმნა. კომიტეტის მთავარი ამოცანაა ბიზნეს წრეებთან საუბრების და შეხვედრების გზით მათთვის პრობლემატური საკითხების აღმოჩენა და გადაწყვეტის გზების მოძიება. კომიტეტის წევრები წამყვანი აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანიების წარმომადგენლები არიან. კერძოდ, მის შემადგენლობაშია 10 წევრი, მათ შორის EY, PwC, Deloitte, KPMG, Grant Thornton, PMCG, BDO, Kreston International, GF Capital.

კომიტეტის ფარგლებში მსჯელობა გაიმართა დაბეგვრის ესტონურ მოდელთან დაკავშირებით. 2016 წლის 9 დეკემბერს გაიმართა შესაბამისი სამუშაო სემინარიც, სადაც მსხვილი, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ძირითადი აქცენტი რეგიონულ ბიზნესზე გაკეთდა. სემინარზე სპიკერებად საქართველოში წამყვანი საკონსულტაციო კომპანიების წარმომადგენლები მოიწვიეს, რომლებიც ამომწურავად პასუხობდნენ საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებულ ყველა კითხვას. სემინარის პირველ ნაწილში განხილულ იქნა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონი, რომელიც ამოქმედდება 2017 წლიდან; მეორე ნაწილში კი საუბარი საგადასახადო სისტემის ესტონურ მოდელს შეეხო.

**პრიორიტეტული ღონისძიება 2.5: „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის“**

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხრიდან სისტემატიურად ხდება არსებული ფინანსური მექანიზმის კერძო სექტორის საჭიროებებთან შესაბამისობის მონიტორინგი. 2014 წლიდან დღემდე პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი სახეცვლილება, რაც აისახა როგორც პროგრამით განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთებზე, ასევე უზრუნველყოფის კომპონენტის 30%-დან 50%-მდე ზრდაზე. გარდა აღნიშნულისა, პროგრამას დაემატა 2 ახალი მიმართულება (სასტუმრო ინდუსტრიის წახალისების კომპონენტი და კინოინდუსტრიის კომპონენტი), რაც პირდაპირ პასუხობს კერძო სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, გრძელდება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის არსებული მდგომარეობის ანალიზი, შეფასება, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიმართულებით.

**პრიორიტეტული ღონისძიება 2.6: „მცირე და საშუალო საწარმოთა გრანტებით დაფინანსების გაუმჯობესება“**

მცირე და საშუალო საწარმოთა დაფინანსების პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, განხორციელდა გრანტების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის გადახედვა და შემუშავდა არსებულ კანონში ცვლილებების პაკეტი, რომელიც უკვე მიღებულია. კანონში ცვლილებების შესვლის შემდეგ, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინოვაციური იდეების განსახორციელებლად გრანტის მიცემის უფლება მიენიჭა მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. კერძოდ, გრანტად განიხილება და დაბეგვრისაგან გათავისუფლებულია სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ მიერ „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში, მეწარმე სუბიექტებზე გაცემული

სახსრები. ასევე, 2016 წლის 22 ივნისის N5503 საქართველოს კანონით შევიდა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად (სსკ-ის 99-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატა „ბ2“ ქვეპუნქტი) მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლდა ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტის მიერ "გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული გრანტები.

### სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

#### პრიორიტეტული ღონისძიება 3.1: „შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება“

პრიორიტეტული ღონისძიების ფარგლებში, მიმდინარე წელს საჭიროებიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის განხორციელება - უმუშევარი ახალგაზრდების მოტივაციის, დამოკიდებულებებისა და დასაქმების სტრატეგიების გამოვლენის მიზნით.

2016 წლის 16 ივნისს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, ხუთ კომპანიას შორის გამოვლინდა გამარჯვებული - გამოყენებითი კვლევების კომპანია. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება. კვლევა დაიწყო 2016 წლის ივლისში, საველე სამუშაოები ჩატარდა აგვისტო-ოქტომბრის პერიოდში და დასრულდა მიმდინარე წლის ბოლოს. კვლევის ანგარიში მომზადდა ქართულ და ინგლისურ ენაზე.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების დამოკიდებულებების, მოტივაციისა და დასაქმების სტრატეგიების შესწავლა. შრომის ბაზარზე მათი დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის N238 დადგენილებით დამტკიცდა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“ (პროგრამის განმახორციელებელია სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“). პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში 16 წლის ზემოთ შრომითი ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა - [www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge)-ზე. პროგრამა მოიცავს მომსახურების 2 კომპონენტს: პროფესიულ მომზადება-გადამზადებას შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში და სტაჟირებას დამსაქმებელთან შეთანხმებით ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ



სამუშაო ადგილზე/ადგილებზე. მომზადება-გადამზადება განხორციელდება როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო კოლეჯებში.

ამავე პროგრამის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, უზრუნველყოფილი იქნა ქვეყნის მასშტაბით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ინფორმირება საკითხთან დაკავშირებით.

2016 წელს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიცა პროფესიული გადამზადებისათვის 2 135 ვაუჩერი და სტაჟირებისათვის 47 საგზური.

### პრიორიტეტული ღონისძიება 3.2: „მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment – TNA)“

ღონისძიების ფარგლებში, განხორციელდა ტრენინგების საჭიროებათა შეფასების (TNA) კონცეფციის და შესაბამისი მექანიზმების შემუშავება (კითხვარის ჩათვლით) ETF-ის (European Training Foundation) მხარდაჭერით. ჩატარდა მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება ETF-ის მხარდაჭერით. პილოტური პროექტისთვის კვლევის ჩასატარებლად იდენტიფიცირებული იქნა ორი სექტორი (ქალაქის წარმოების და ბეჭდვის, ასევე, სასტუმრო სექტორი), რომლის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 132-მა კომპანიამ და სასტუმრომ. აგრეთვე, აღნიშნული ორი სექტორის კვლევის შემდგომ ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა თბილისში და ბათუმში. დაიბეჭდა და გამოიცა 100-მდე ეგზემპლარი კვლევის და ფოკუს ჯგუფის ანალიზის მასალა.

ამასთან, TNA-ის განხორციელებისთვის, შიდა უნარების განვითარების მიზნით, ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი ETF-ის და დაქირავებული კონსულტანტების მხრიდან.

### პრიორიტეტული ღონისძიება 3.3: „უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე“

მეწარმეობის სწავლების გაძლიერება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარე პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილია მეწარმეობის სწავლების ხელშემწყობი აქტივობები ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურზე. დაიწყო „მეწარმეობის კლუბის“ პილოტირება სკოლისა და პროფესიული განათლების საფეხურზე, რომლის ფარგლებში პროფესიული სტუდენტები და მოსწავლეები რეალურად გამოსცდიან ბიზნეს იდეის ჩამოყალიბების, კომპანიის დაარსების, საქმიანობის წამოწყების, აწყობის, მართვის და ლიკვიდაციის პროცესს.

აღნიშნული სასწავლო აქტივობა ხორციელდება სამ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში („მერმისი“; „გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრი“; „მოდუსი“) და პანკისის ხეობის სამ საჯარო სკოლაში (ჯოყოლოს, ბირკიანის, ომალოს საჯარო სკოლები).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდა დოკუმენტი „თვითდასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიერ“, რომელიც წარმოადგენს პროფესიული განათლების სისტემაში მეწარმეობის განვითარების ხედვას.

მეწარმეობის სწავლება წარმოადგენს სავალდებულო კომპონენტს ყველა პროგრამისათვის. შესაბამისად, ინტენსიურად გრძელდება ახალი მოდულური პროგრამების შემუშავება-დანერგვის პროცესი, რომელიც 2014 წელს დაიწყო. აღნიშნული პროგრამები პროფესიული კომპეტენციების გამომუშავების პარალელურად საკვანძო უნარების (მეწარმეობა, კომუნიკაცია, უცხო ენა და სხვა) განვითარებაზეც არის ორიენტირებული.

ISET-ის მიერ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა პროფესიულ განათლებაში მეწარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები, რის საფუძველზეც განხორციელდა მეწარმეობის მოდულის განახლება და მეწარმეობის მოდულის მასწავლებლების ტრენინგი.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა და მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერითა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით, მიმდინარეობს მეწარმეობის სახელმძღვანელოს განახლება.

#### პრიორიტეტული დონისძიება 3.4: „მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება“

პროფესიული განათლების საბჭოში და თემატურ ჯგუფებში მცირე და საშუალო მეწარმეთა ჩართულობის უზრუნველყოფის (მაკრო დონე) და პროფესიული განათლების პოლიტიკის ფორმირების პროცესში მცირე და საშუალო მეწარმეთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით, ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები არიან დამსაქმებელთა ასოციაციები/გაერთიანებები. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებისა და მხარდაჭერის ასოციაცია, ქალ მეწარმეთა ასოციაცია და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულები საბჭოს თემატური ჯგუფების მუშაობაშიც.

პროფესიულ კვალიფიკაციათა შემუშავება/განვითარებაში მეწარმეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის (მეზო დონე) მიზნით, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ კოორდინაციით, ხორციელდება „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების პროექტი“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს

პროფესიული სტანდარტების შემუშავება/გადამუშავება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. პროფესიული სტანდარტების მომზადების/გადამუშავების მეთოდოლოგია (DACUM) მოითხოვს სამუშაო პროცესში მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა თანაბარ ჩართულობას/მონაწილეობას. პროფესიული სტანდარტებისა და პროგრამების ვალიდაციის მიზნით შექმნილი დარგობრივი საბჭოების შემადგენლობაშიც დაცულია მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა პარიტეტი. ამდენად, პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირება-განვითარების პროცესებში მეწარმეთა მონაწილეობა უზრუნველყოფილია.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფციის შემუშავება/პილოტირების მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მოამზადა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფცია და უკვე მიმდინარეობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური) პრინციპით სოფლის მეურნეობის მიმართულებით 3 პროფესიული პროგრამის (მეხილეობა, მეცხოველეობა, მეღვინეობა) პილოტირების პროცესი. პილოტირების პროცესის დაწყებამდე განხორციელდა შესაბამისი ადამიანური რესურსის, მათ შორის, დამსაქმებლების შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

ამასთან, დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები მასწავლებელთათვის და დამსაქმებლებისთვის სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარების მიზნით.

დუალური პროფესიული განათლების წარმატებით განხორციელების მიზნით, ასევე დაგეგმილია კომპანიის ინსტრუქტორის სტანდარტისა და პედაგოგიური კურსის მომზადება, რომლის სამუშაო ჯგუფში ჩართულები იქნებიან მცირე და საშუალო მეწარმეთა წარმომადგენლები.

### პრიორიტეტული ღონისძიება 3.5: „არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა“

პრიორიტეტული ღონისძიების ფარგლებში, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისთვის შესაბამისი წესების და მექანიზმების შემუშავების მიზნით, განხორციელდა არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს ანალიზი, შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფცია და არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტი. ახალი არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტის დამტკიცება საჭიროებს საკანონდებლო ცვლილებებს. შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდა არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირება 3 პროგრამაზე: მეფუტკრე, აგრარული ტექნიკის მექანიკოსი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. პილოტირება ჩატარდა 3 კოლეჯში (აისი, ოპიზარი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა).

**პრიორიტეტული ღონისძიება 3.6: „მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფა“**

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელდა შესაბამისი აქტივობები:

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარ კომპანიათა მინიმუმ ხუთმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა ექსპორტის მენეჯერების სასერტიფიკატო კურსში. ასევე, მეწარმეობის განვითარების სააგენტო თანამშრომლობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) მემორანდუმის ფარგლებში და ახორციელებს ტექნიკურ მხარდაჭერას. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მომსახურების ცენტრის მიერ მხარდაჭერა გაეწია 12 000 დაინტერესებულ პირს.

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, საკონსულტაციო მომსახურებაში ცვლილებების შეტანის შემდეგ, უკვე ორმა ბენეფიციარმა ისარგებლა თანადაფინანსებით.

ჩატარდა 7-დღიანი მინი სამაგისტრო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 20 კომპანიის ტოპ მენეჯერებმა. ასევე, განხორციელდა ტრენინგი გერმანიაში ("Fit for Partnership with Germany" ), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18 კომპანიის ტოპ მენეჯერმა.

პარტნიორებთან თანამშრომლობით ტრენინგ-პროგრამების შემუშავების კუთხით, აღსანიშნავია, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს და კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგად შემუშავებული ექსპორტის მენეჯერების სასერტიფიკატო კურსის ტრენინგ-პროგრამა.

2016 წელს, 26 კომპანიამ (33 ექსპორტის მენეჯერი) მიიღო მონაწილეობა ექსპორტის მენეჯერების სასერტიფიკატო კურსში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით 220 კომპანიას გაეწია კონსულტაცია ევროკავშირის ბაზრის შესაძლებლობებსა და DCFTA-ის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

**პრიორიტეტული ღონისძიება 3.7: „საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე“**

„აწარმოე საქართველოს“ ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო მასალების, ბიზნეს-ლიტერატურის შეგროვების და განთავსების მიმართულებით, მიმდინარეობს შესაბამისი აქტივობები. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მომსახურების ცენტრში გაიხსნა ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია 100-მდე საგანმანათლებლო მასალა და ბიზნეს-ლიტერატურა. ვებ-გვერდზე განთავსებულია რამდენიმე კვლევა, სექტორული ანალიზი და მიმდინარეობს მასალების ატვირთვა პერმანენტულ რეჟიმში.

პრიორიტეტული ღონისძიება 3.8: „მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება“

მეწარმეების მომსახურების ცენტრში ღია სივრცის პრინციპის განვითარების ფარგლებში გახსნილია ბიბლიოთეკა, მოწყობილია კომპიუტერული სივრცე, არსებობს ლექციების და სემინარების ჩატარების ადგილი და შესაბამისი ტექნიკა. ასევე, მომსახურების ცენტრის თანამშრომლები დაინტერესებულ პირებს უწევენ კონსულტაციებს.

მომსახურების ცენტრის გახსნის შემდეგ, ჩატარდა სხვადასხვა ტიპის ლექცია და სემინარი. ღია სივრცე გამოყენებული იქნა სხვადასხვა კომპანიის მიერ საქმიანი შეხვედრების ჩატარების მიზნით, ასევე, კომპიუტერული სივრცე აქტიურად იქნა ათვისებული მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში ჩართვით დაინტერესებული პირების მიერ.

პრიორიტეტული ღონისძიება 3.9: „ქალთა მეწარმეობის წახალისება“

*ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო* ჩაერთო პროექტში "ქალთა გაძლიერება", რომლის 200-მდე მონაწილემ დაათვალიერა ტექნოპარკი და გაეცნო იმ შესაძლებლობებს, რასაც ქალ მეწარმეებს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო უქმნის. „ქალთა გაძლიერება“ გაიმართა 2016 წლის 5 მარტს, ორგანიზაცია JCI Georgia და Speak Up Georgia-ს მიერ.

შემოქმედებითი ინდუსტრიების წახალისების მიზნით GITA-ს მხარდაჭერით ტექნოპარკში გაიმართა ერთკვირიანი ვოქშოპი/TOT „განაახლე უსარგებლო ნივთები ფაბლაბში“. პოლონელი სპეციალისტის მონაწილეობით გადამზადდა 20 ქალი მეწარმე, რომელთაც ფაბლაბის მაღალტექნოლოგიური დანადგარის საშუალებით სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები შექმნეს, გაყიდეს და დაიწყეს ბიზნეს საქმიანობა.

2015 წლიდან *მეწარმეობის განვითარების სააგენტოს* მიერ ხორციელდება „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის კომპონენტი, რომელიც გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე ტიპის სამეწარმეო აქტივობების განვითარების მხარდაჭერას 2 ძირითადი მიმართულებით: (1) ბიზნესის წამოწყებისთვის და/ან არსებულის გაფართოება/გადაიარაღებისთვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა; (2) თანამედროვე ბიზნეს-პრაქტიკების შესახებ ცოდნის მიწოდება ტრენინგ-სემინარებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით. პროგრამის განხორციელების დაგეგმვის ეტაპიდან პრიორიტეტი ენიჭება ქალ მეწარმეებს. აქედან გამომდინარე, დღეის მდგომარეობით დაფინანსებულ ქალ მეწარმეთა პროცენტული წილი შეადგენს 40%-ს.

პრიორიტეტული ღონისძიება 3.10: „მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისება“

პრიორიტეტული ღონისძიების ფარგლებში მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისების მიზნით მნიშვნელოვანია მეწარმეების ცნობიერების ამაღლება რესურსეფექტურ (resource efficiency) და სუფთა წარმოებასთან (clean production) დაკავშირებით ისევე, როგორც გარემოსათვის მისაღებ ქმედებებთან (environmental performance) მიმართებით. ამ მიზნით, აღნიშნული პრიორიტეტული ქმედება მოიცავს კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის შესაბამისი ტრენინგ-პროგრამის შემუშავებას და კონსულტაციების გაწევას. ამასთანავე, ხელი შეეწყობა გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) სასწავლო კურსების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია საწარმოთა მიერ გარემოსთვის მისაღებ პრაქტიკასა და მენეჯმენტზე ცოდნის ამაღლებისთვის.

მეწარმეებისთვის ტრენინგ-პროგრამის შემუშავებასა და გარემოსათვის მისაღებ ქმედებებზე კონსულტაციების გაწევასთან (environmental performance) დაკავშირებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ ექსპერტებთან ერთად მუშაობს სპეციალური სასწავლო მოდულის შემუშავებაზე. ასევე განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები. კერძოდ:

1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, 2015 წელს ჩაატარა კვლევა „მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის გარემოსათვის მისაღები ქმედებების ხელშეწყობა“. კვლევა ითვალისწინებდა საქართველოში 400-მდე საწარმოს წარმომადგენლის გამოკითხვას და მათი გარემოსდაცვითი საქმიანობის შესაძლებლობების, ხარვეზების, რესურსების გამოყენებისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის საკითხების შესწავლას. კვლევის შედეგად მომზადდა ანგარიში და შემუშავდა რეკომენდაციები.

2. აღმოსავლეთ პარტნიორობის გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებების პანელის (EaP Panel on Environment and Climate Change) მიერ ინიცირებული, აღმოსავლეთ პარტნიორობის II პლატფორმის „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“ (Platform II - Economic Integration and Convergence with EU Policies) ფარგლებში, 2013 წლიდან მიმდინარეობს პროგრამა „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარება“ (EaP Green), რომელიც სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება, მათ შორის არის რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სადემონსტრაციო პროექტი და ახორციელებს გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO).

UNIDO-ს სადემონსტრაციო პროექტის მიზანს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებში სამრეწველო საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებში რესურსების ეფექტურად გამოყენების, ასევე გარემოსდაცვითი საქმიანობის

გაუმჯობესება და ამ გზით მწვანე ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში, 2016 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბები ქუთაისსა და კასპში, რომლებშიც გაერთიანდა 16 მცირე და საშუალო საწარმო. საწარმოების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის წყლის, ენერჯის და ნედლეულის დაზოგვა, ნარჩენების, ჩამდინარე წყლების და ატმოსფერულ ჰაერში ემისიების შემცირება, ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო მართვა და შესაბამისი გეგმების შემუშავება.

აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში მიმდინარე წლის განმავლობაში გადამზადდა და ტრენინგი ჩაუტარდა 8 ეროვნულ ექსპერტს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდებზე; ამასთანავე, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების შესაძლებლობების შეფასება ჩატარდა 10 საწარმოში და შემუშავდა რეკომენდაციები (შპს რუსთავის აზოტი, შპს ნეო-პრინტი, შპს ამირანი XXI, შპს თიემთი, შპს ლალი, შპს არომპროდუქტი, შპს ბაზალტის ფაიბერი, შპს ემენქემიქალ ჯორჯია, სს სარინი, სს ეკოჯე 2011), ხოლო 7 საწარმოსთვის (სს სარინი, სს ეკოჯე -2011, შპს ემენქემიქალ ჯორჯია, შპს ლალი, შპს ნეო-პრინტი, შპს ამირანი XXI, შპს თიემთი) მომზადდა საინვესტიციო პროექტები, რაც ითვალისწინებს რესურსეფექტური და სუფთა ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებას მათ საწარმოში.

გარდა საწარმოებთან ინდივიდუალური შეხვედრებისა, გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა ბიზნეს-სექტორის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით თბილისის, ზუგდიდი/ზემო სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებიდან რესურსეფექტური და სუფთა წარმოების შესახებ. ცნობიერების ამაღლების მიზნით, აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 96-მა მონაწილემ.

გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსების განვითარების (მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით) კუთხით განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები. კერძოდ, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ (მუხლი 15, ნაწ. 1) ვალდებულების შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო, 1000 ტონაზე მეტი ინერტული ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება, ეკისრებათ ვალდებულება ჰყავდეთ ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი კადრი - გარემოსდაცვითი მმართველი.

აღნიშნული ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან და დარგის სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეიმუშავა სპეციალური სასწავლო კურსი „გარემოსდაცვითი მმართველი“, რომელიც მიზნად ისახავს კერძო სექტორის წარმომადგენლების გადამზადებას, რათა მეწარმეებმა შეძლონ კანონით დაკისრებული მოთხოვნების შესრულება და ახალი სტანდარტების დანერგვა საწარმოებში.

სასწავლო კურსის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სსიპ „გარემოსდაცვითი

ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებ-გვერდზე, სადაც ხდება მსურველების დარეგისტრირება.

2016 წლის განმავლობაში, სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში“ აღნიშნულ საკითხებზე ჩატარდა 12 სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა 177-მა გარემოსდაცვითმა მმართველმა. გარდა აღნიშნულისა, ცენტრმა აიღო სოციალური პასუხისმგებლობა და 5 წარჩინებულ სტუდენტს უსასყიდლოდ გაატარა აღნიშნული კურსი.

#### სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

*პრიორიტეტული ღონისძიება 4.1: „DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება“*

ბიზნეს-სუბიექტებთან სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებმა და კვლევებმა აჩვენეს, რომ არსებობს ინფორმაციის ნაკლებობა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA). მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოების მხრიდან არსებობს დიდი ინტერესი ევროკავშირში ექსპორტთან დაკავშირებით, ისინი ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებიც საჭიროა წარმატებული ექსპორტისათვის. ხშირად, კომპანიები არ იცნობენ საჭირო მოსამზადებელ პროცედურებს და გადაჭარბებულად აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს ადაპტაციისა და ცვლილებების პროცესებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა „ერთი ფანჯრის“ პრინციპზე დაფუძნებული საინფორმაციო ცენტრების შექმნის საკითხი.

„ერთი ფანჯრის“ პრინციპზე დაფუძნებული საინფორმაციო ცენტრის მიზანია საზოგადოების ცნობადობის გაზრდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ მთავარ საკითხებთან დაკავშირებით, ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა და საქართველო-ევროკავშირის შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა და მხარდაჭერა საკანონმდებლო ცვლილებებთან ადაპტაციის მიზნით. აღნიშნული ცენტრი უზრუნველყოფს კომპანიების ინფორმირებას საჭიროების მიხედვით, დაეხმარება მათ ჰარმონიზაციის პროცესში და ექსპორტისათვის საჭირო ზომების მიღებაში. ცენტრის საშუალებით კომპანიები მიიღებენ ინფორმაციას პროდუქციისა და სერვისების თავისუფალი გადაადგილების შესახებ, ასევე, საბაჟო და კონკურენციის პოლიტიკის თაობაზე, განმარტებებს იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს ექსპორტისათვის მზაობა და რომელ ასპექტებს აქვთ გადამწყვეტი გავლენა კომპანიის ექსპორტის პოტენციალზე, სასარგებლო მარკეტინგული ინსტრუმენტებისა და მათი სწორად გამოყენების შესახებ. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრი მოამზადებს სექტორულ ინფორმაციებსა და პრაქტიკულ რჩევებს DCFTA-თან დაკავშირებით, შესაბამის სფეროებში ევროპული სტანდარტებისა და პრაქტიკის დანერგვის მიზნით სახელმწიფოს მიერ



განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის თაობაზე. მათი გავრცელება მოხდება ვებ-გვერდის, ელ.ფოსტის, “ცხელი ხაზისა“ და ბიზნესმენებთან ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. ცენტრი ორგანიზებას გაუკეთებს ბრიფინგებს, ლექციებს, გამოფენებს, კონკურსებს, ტრენინგებს, სემინარებსა და ფილმების ჩვენებებს უცხოელი ექსპერტების ჩართულობით. ცენტრი მჭიდროდ ითანამშრომლებს ევროკავშირის ინსტიტუტებთან და წევრ სახელმწიფოებთან და განახორციელებს ერთობლივ პროექტებს DCFTA-თან მიმართებაში მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპალატის „East Invest 2“-ის ფარგლებში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით, პარიზის სავაჭრო პალატასთან ერთად დაიწყო 20-თვიანი თვინინგ პროექტი, რომლის საბოლოო მიზანია **DCFTA საინფორმაციო ცენტრის შექმნა**. პროექტი ითვალისწინებს ორ სხვადასხვა მიმართულებას: მომავალი საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელთა დატრენინგებასა და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2016 წლის 28 ნოემბერს, GIZ-ის (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ პროექტსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს. მათთან თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ 2016 წლის დეკემბერში **დააფუძნა 5 DCFTA-ის საინფორმაციო ცენტრი** (თბილისი, ქუთაისი, სიღნაღი, გორი და ზუგდიდი). ამ ცენტრების მეშვეობით ბიზნესი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის კომპანიები მიიღებენ კვალიფიციურ ინფორმაციას DCFTA-თან დაკავშირებით.

გადამზადდა და დასაქმდა 5 გრძელვადიანი ექსპერტი, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ მეწარმეებთან და აწვდიან მათ ამომწურავ ინფორმაციას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

DCFTA-ს საინფორმაციო ცენტრის გრძელვადიანი ექსპერტები პირადად ან ცხელი ხაზის მეშვეობით ინდივიდუალურ კონსულტაციებს უწევენ მცირე და საშუალო მეწარმეებს. საკითხის უკეთესად გასაცნობად და შესაფასებლად, მათ გაიარეს მოკლე სასწავლო კურსი სახელმწიფო სააგენტოებში. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული თემა კომპლექსურია, მეწარმეები გადამისამართდებიან შესაბამის კომპეტენტურ ორგანიზაციებში. ცენტრის ოფიცრები ვალდებულნი არიან მცირე და საშუალო მეწარმეებს მხარდაჭერა აღმოუჩინონ ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოვების, ასევე პროდუქციის საექსპორტოდ მომზადების პროცესში.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ძალაში შესვლის შემდეგ დამდგარი ახალი რეალობისა და ადგილობრივი კომპანიების მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ დაიწყო კონკრეტული პროექტების განხორციელება საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა არის ეროვნული კოორდინატორი ევროკომისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მიმდინარე პროექტისა East-Invest, რომელსაც ევროპალატა ახორციელებს.

2015 წელს დაიწყო პროექტი „East Invest 2“. პროექტის ერთ-ერთი მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ბიზნესის ხელშემწყობი ორგანიზაციების (BSO) შესაძლებლობების გაზრდა, რათა მათ უკეთესი სპეციალიზირებული სერვისები მიაწოდონ წევრ მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებს, ასევე, მეწარმეების ცნობიერების გაზრდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცისა (DCFTA) და ევროკავშირის კანონმდებლობის შესახებ. პროექტის ფარგლებში, 2015 წლის ოქტომბერში დაიწყო ტრენინგების კურსი. კურსისთვის შერჩეულია აგრო-სურსათის სექტორთან დაკავშირებული 5 თემა:

- ✓ DCFTA, შედეგები ეროვნულ დონეზე და განხორციელების გზები;
- ✓ ევროკავშირის რეგულაციები და ტექნიკური სტანდარტები, განსაკუთრებით აგრო სურსათისა და სურსათის გადამამუშავების სექტორში;
- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბიზნესების მზაობა ექსპორტისთვის;
- ✓ მარკეტინგი და კომუნიკაცია - როგორ წარვადგინოთ პროდუქცია უცხოურ ბაზარზე;
- ✓ გამოფენებში მონაწილეობა, პოტენციურ ბიზნეს პარტნიორებთან კომუნიკაცია.

პროექტის ფარგლებში 2016 წლის 13-15 აპრილს თბილისში, პალატის ორგანიზებით, გაიმართა სასწავლო კურსი (SME Academy) აგრო-სასურსათო და საკვების გადამამუშავებელი სფეროს მცირე და საშუალო კომპანიების წარმომადგენლებისათვის. აღნიშნული ტრენინგის თემას წარმოადგენდა წვდომა უცხოურ ბაზრებზე და მიზნად ისახავდა ევროკავშირში ექსპორტის პოტენციალის მქონე კომპანიების დეტალურ ინფორმირებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ძალაში შესვლის შემდეგ ამოქმედებული მოთხოვნებისა და სტანდარტების შესახებ. ექსპორტის პოტენციალისა და უცხოურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, დამსწრე აუდიტორია გაეცნო ევროკავშირის კანონმდებლობას, ბაზრის სტრუქტურასა და ევროკავშირში ექსპორტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ქართული პროდუქციისთვის. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მოესმინათ ინტერაქტიული ლექციებისთვის სხვადასხვა საკითხზე (ტექნიკური სტანდარტები, ექსპორტისათვის მზაობა, მარკეტინგი და ა.შ.), რომლებსაც უძღვებოდნენ ევროკავშირის ექსპერტები ლატვიიდან, ბელგიიდან, იტალიასა და ავსტრიიდან. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. ტრენინგების შემდეგი რაუნდი 2017 წლის მარტში განხორციელდება.

პალატა აპირებს ტრენინგებისა და კონსულტაციების ინტეგრაციას თავის სერვისებში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, მას შემდეგ, რაც „East Invest 2“ დასრულდება.

მნიშვნელოვანია, ასევე, ამ მიმართულებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ „სურსათის უვნებლობის სამსახურის“ და ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, ჩატარდა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი და ცნობიერების ამაღლების ღონისძიება:

- DCFTA-ის ფარგლებში 2016 წელს შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტები განთავსებული იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე სამიზნე ჯგუფების ინფორმირებისა და მათგან წინადადებების მიღების მიზნით.
- სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მიერ, 2016 წლის 23 აპრილს, ცხოველთა სასაკლაოებში საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) დანერგვასთან დაკავშირებით, ბიზნესოპერატორებისთვის ჩატარდა ტრენინგი. სასწავლო პროგრამა სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) “სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტს“ (REAP) შორის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. მისი მიზანია სასაკლაოებში სურსათის უვნებლობის თანამედროვე სისტემის დანერგვა, რაც უიდა საწარმოო პროცესის კონტროლს და ბიზნესის რისკების შემცირებას გულისხმობს;
- 2016 წლის 26 აპრილს, სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოში“ „სამოქალაქო დარბაზის“ სხდომა გაიმართა, რომლის მიზანი იყო სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში გაწეული საქმიანობის ანგარიშგება და არსებულ გამოწვევებზე დისკუსია საზოგადოების ჩართულობით;
- 2016 წლის 9 ნოემბერს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული „სამოქალაქო დარბაზის“ მორიგი სხდომა გაიმართა. დარბაზის წევრებმა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზაცია-მოხმარების, ვეტერინარიისა და სურსათის უვნებლობაში არსებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სამოქალაქო სექტორის ჩართულობაზე, რაც ხელს უწყობს საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას.
- 2016 წლის 18 მაისს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელებმა, აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრის ფარგლებში მომავალ ვეტერინარებს აგრარული სექტორის განვითარების სახელმწიფო ხედვა და სურსათის უვნებლობის, ევროკავშირთან დაახლოების და თანამედროვე სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობა გააცნეს.
- 2016 წლის 5 ივნისს, სურსათის ეროვნულ სააგენტოში გაიმართა შეხვედრა აგრარული ბაზრების წარმომადგენლებთან. განხორციელდა

ბიზნესოპერატორების ინფორმირება თანამედროვე მოთხოვნების და სტანდარტების შესახებ, რაც მათ დაეხმარება სურსათის უვნებლობის ნორმების დანერგვასა და საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში;

- 2016 წლის 10 ივლისს სურსათის ეროვნულ სააგენტოში საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა და რესტორნების ქსელის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. სააგენტომ ბიზნესოპერატორებს ამ სფეროში კანონმდებლობის მიმდინარე და მოსალოდნელი რეგულაციები გააცნო. საუბარი შეეხო საზოგადოებრივი კვების ობიექტების პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ჰიგიენური ნორმების, მზა სურსათის მიტანის სერვისით სარგებლობის დროს დისტრიბუციის პირობების დაცვას. ბიზნესოპერატორებმა მსგავსი ტიპის შეხვედრების სისტემატურად ჩატარების სურვილი გამოთქვეს.
- 2016 წლის 6 ივლისს სურსათის ეროვნულ სააგენტოში რძისა და რძის ნაწარმის მწარმოებლებსა და იმპორტიორებთან შეხვედრა გაიმართა. სააგენტოს წარმომადგენლებმა ბიზნესოპერატორებს რძის ტექნიკური რეგლამენტის ის ნორმა გააცნეს, რომელიც 2016 წლის პირველი აგვისტოდან შევიდა ძალაში და რძის შემცველი პროდუქციის დასახელებაში „მსგავსის“ და „ებრის“ გამოყენების აკრძალვას ითვალისწინებს;
- 2016 წლის 11 დეკემბერს სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის (CIB) მხარდაჭერით, პურის მწარმოებლებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პურის მწარმოებელთა კავშირის, მეხორბლეთა ასოციაციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ბიზნესოპერატორებს პურის უვნებლობის, ეტიკეტირებისა და რეალიზაციის სავალდებულო მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. აღინიშნა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო პურის უვნებლობასა და ეტიკეტირების წესის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს ააქტიურებს. სავალდებულოა ეტიკეტზე დატანილი იყოს სრულყოფილი ინფორმაცია ინგრედიენტების და საკვები დანამატების შესახებ. სურსათის ეროვნული სააგენტო პურისა და პურპროდუქტების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს როგორც წარმოების, ასევე რეალიზაციის ეტაპზე.
- 2016 წლის 18 ნოემბერს და 15-16 დეკემბერს სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით საქართველოს რეგიონებში გაიმართა შეხვედრები ცხოველთა სასაკლაოების, ხორცის დამჭრელი, ხორცის სარეალიზაციო ობიექტებისა და აგრარული ბაზრების წარმომადგენლებთან „საქონლის ხორცისა და ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად 2017 წლის 1 იანვრიდან ხორცის სავალდებულო ეტიკეტირების შესახებ;
- ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (APMA) მიერ

ჩატარდა 2 ტრენინგი კოოპერატივებისთვის (ზუგდიდში - 50-60 წარმომადგენელი, ახალციხეში - 50-60 წარმომადგენელი). ტრენინგის ფარგლებში განხილული იქნა სურსათის ეროვნული სააგენტოს საკანონმდებლო მოთხოვნები, დეტალები სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის შესახებ, სურსათის (თაფლის) ევროკავშირში ექსპორტის შესაძლებლობა; APMA-ს მხრიდან, მეპაიეებს მიეწოდათ რეკომენდაციები მეფუტკრეთა მხარდაჭერისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. საინფორმაციო ტრენინგს ესწრებოდნენ კოოპერატივის წევრები, ასევე, საკონსულტაციო ცენტრების მიერ მოწვეული, დარგის განვითარებით დაინტერესებული სხვა მეფუტკრეებიც.

სსიპ „სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოს“ ხელმძღვანელებმა, პროექტის „ერთად შევეგებოთ ევროპას“ ფარგლებში, მონაწილეობა მიიღეს ქუთაისში, თელავსა და მარნეულში გამართულ შეხვედრებში. აღნიშნულ შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მეწარმეები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები. შეხვედრების თემა იყო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA), მათ შორის ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, კერძოდ, მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის მნიშვნელობა, ასევე, ამ სფეროში ევროინტეგრაციის კუთხით განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები.

#### პრიორიტეტული ღონისძიება 4.2: „მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციაში“

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ, საექსპორტო პოტენციალის თვალსაზრისით, იდენტიფიცირებულია შემდეგი სექტორები: ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, მინერალური და წყაროს წყლები, ჩაი, თხილი, ცოცხალი ხილი და ბოსტნეული, თაფლი, ჩირი, სანელებლები, სოუსები, სხვადასხვა ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებული პროდუქცია, ფარმაცევტული პროდუქცია და საფეიქრო ნაწარმი.

კონკრეტულ ბაზრებზე პროდუქტების შერჩევა/მისადაგება მოხდება კერძო სექტორთან კონსულტაციების და დეტალური კვლევების ჩატარების შედეგად.

სააგენტო კონსულტაციების მეშვეობით ექსპორტით დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას საექსპორტო ბაზრებზე, მოთხოვნებზე, რეგულაციებზე და სხვა ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხზე. ასევე, ხდება კონკრეტულ ბაზრებზე დეტალური ინფორმაციის მიწოდება მოწვეული კონსულტანტების მეშვეობით.

სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტს“ (REAP) შორის გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებული და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ბენეფიციარ საწარმოებში

სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტების და სისტემების (HACCP და ISO22000:2005) დანერგვას; ასევე, საწარმოებისთვის საკონსულტაციო ტრენინგების ჩატარებას. მნიშვნელოვანია, რომ საწარმოები არამარტო ფინანსურ დახმარებას ღებულობენ საწარმოო ინფრასტრუქტურის გამართვისთვის, არამედ დამატებით ტექნიკურ მხარდაჭერასაც, რომელიც გულისხმობს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და ახალი ბაზრების მოძიებას. პროექტის ფარგლებში სექტემბრის მდგომარეობით, სულ 29-მდე კომპანიის 50-მდე თანამშრომელს ჩაუტარდა 2 სახის ტრენინგი/კონსულტაცია, შემდეგ თემებზე: სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვასა და ზოგადი ფინანსური მენეჯმენტის მიმართულებით. 10 ბენეფიციარ საწარმოსთან გაფორმდა ISO 22000 სტანდარტის დანერგვის ხელშეკრულება. 2-მა საწარმომ კი მიიღო ISO 22000 სერტიფიკატი.

პრიორიტეტული ღონისძიება 4.3: „მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება“

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ მიმდინარეობს ექსპორტის წახალისების ახალ მექანიზმებზე და პროგრამებზე მუშაობა.

მოხდა შემდეგი პრიორიტეტული ბაზრების იდენტიფიცირება: ჩინეთი, აშშ, იაპონია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, საუდის არაბეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, შვედეთი, ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, დანია, ჩეხეთი, უნგრეთი, ნიდერლანდები და შვეიცარია.

ასევე, იდენტიფიცირებულია შემდეგი სექტორები: ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, მინერალური და წყაროს წყლები, ჩაი, თხილი, ცოცხალი ხილი და ბოსტნეული, თაფლი, ჩირი, საწებლები, სოუსები, სხვადასხვა ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებული პროდუქცია, ფარმაცევტული პროდუქცია და საფეიქრო ნაწარმი.

კონკრეტულ ბაზრებზე პროდუქტების შერჩევა/მისადაგება მოხდება კერძო სექტორთან კონსულტაციების და დეტალური კვლევების ჩატარების შედეგად.

სააგენტომ შეიმუშავა ექსპორტის მზაობის ტესტი, რომლის მეშვეობითაც ხდება კომპანიების შერჩევა, კერძოდ ფასდება რამდენად მზად არის კომპანია ექსპორტისთვის და რა არსებული შესაძლებლობები გააჩნია. მარკეტინგული უნარების და შესაძლებლობების იდენტიფიცირება ხდება ექსპორტის მზაობის ტესტის და ექსპორტის აუდიტის მეშვეობით.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავებული ევრომონიტორინგის კვლევები მიიღო 15 ექსპორტიორმა კომპანიამ, რომელთაგან 8 კომპანია, რომელიც გეგმავდა ექსპორტის დაწყებას, პოტენციურ პარტნიორებთან შესახვედრად გაემგზავრა ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

კომპანიებთან კონსულტაციების მეშვეობით ხდება პრიორიტეტულ ბაზრებზე საერთაშორისო გამოფენების და სავაჭრო მისიების ორგანიზება.

პრიორიტეტული ღონისძიება 4.4: „მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში“

2015 წელს, მეწარმეობის განვითარების და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოები გახდნენ ევროპული საწარმოთა ქსელის (EEN - Enterprise Europe Network) პარტნიორები, რომელიც აერთიანებს 600-მდე ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის, სავაჭრო-სამრეწველო პალატებს, ტექნოლოგიურ ცენტრებს, განვითარების ორგანიზაციებს. EEN-ში მონაწილეობა ხელს შეუწყობს კონტაქტების დამყარებას ადგილობრივ და ევროპულ კომპანიებს შორის, ასევე, ტექნოლოგიურ ტრანსფერს და კომპანიების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ მიმდინარეობს კომპანიების დამატება EEN-ის პლატფორმაზე. ასევე, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო განაგრძობს მეწარმეთა EEN-ში ჩართულობის გაზრდაზე მუშაობას. 2016 წელს, EEN-ის ფარგლებში, სააგენტოს ხელშეწყობით, ლიტვის მხარესთან 3 საპარტნიორო ხელშეკრულება გაფორმდა. 2016 წლის 13 დეკემბერს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებით და East Invest2-ის დაფინანსებით გაიმართა ღონისძიება თემაზე: **მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის არსებული შესაძლებლობები EEN-ისა და H2020-ის ფარგლებში.** აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ მცირე და საშუალო ბიზნესისა და კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები, სტარტაპები და სხვა დაინტერესებული პირები.

ამასთან, მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შეიმუშავა შედეგების ფორმა, რომელსაც კომპანიები ავსებენ გამოფენების და სავაჭრო მისიების შემდეგ და პერიოდულად ხდება ინფორმაციის განახლება. ფორმაში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: კომპანიის მიერ დამყარებული კონტაქტების რაოდენობა და გაფორმებული კონტრაქტების მოცულობა.

EEN-ის ფარგლებში შედგა კომუნიკაცია 30-მდე კომპანიასთან, რის შედეგადაც 5 ევროპული კომპანია მოლაპარაკების სტადიაზეა ქართულ მხარესთან ექსპორტის/იმპორტის/ბიზნეს თანამშრომლობის თაობაზე.

აღნიშნული მიმართულებით, ასევე, მნიშვნელოვანია სავაჭრო-სამრეწველო პალატის აქტივობებიც. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთ-ერთი მომსახურებაა ბიზნეს ფორუმებისა და გამოფენების ორგანიზება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებასა და გააქტიურებას. 2016 წელს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებულ იქნა:

- **6 ბიზნეს ფორუმი საზღვარგარეთ.**

*(ესტონეთი (10 თებერვალი), ბელარუსი (23 მარტი), უნგრეთი (29 მარტი), ლატვია (31 მარტი), ავსტრია (3 ივნისი), ყატარი (5 ოქტომბერი));*

- **14 ბიზნეს-ფორუმი საქართველოში.**

*(ბიზნეს-ფორუმები საქართველოში გაიმართა შემდეგი ქვეყნების ბიზნეს დელეგაციების მონაწილეობით: ჩეხეთი (8-10 თებერვალი), იორდანია (28-31 მარტი), რუსეთი (12-13 აპრილი), ერაყი (25-28 აპრილი), ყაზახეთი (6 ივნისი), აზია-წყნარი ოკეანის სავაჭრო პალატების კონფედერაცია (CACCI) (22-25 მაისი), რუსეთი (26 მაისი- 3 ივნისი), ისლანდია (7 ივნისი), თურქეთი (16 აგვისტო), ბელარუსი (1 სექტემბერი), ესტონეთი (20 სექტემბერი), ჩინეთი (26 სექტემბერი), იაპონია (3 ნოემბერი), უკრაინა (30 ნოემბერი), კორეის რესპუბლიკა (1 დეკემბერი)).*

2016 წელს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ორგანიზება გაუკეთა 2 გამოფენა-გაყიდვას საქართველოში: ჩინეთის საექსპორტო პროდუქციის გამოფენა (27 სექტემბერი), ბელარუსის ნაციონალური გამოფენა (1-4 სექტემბერი).

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა რეგულარულად აწვდის ქართულ კომპანიებს ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ბიზნეს ღონისძიებების თაობაზე, რათა ქართულმა ბიზნესმა შეძლოს მათში მონაწილეობა შემდგომში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მიზნით. 2016 წელს პალატამ გაავრცელა ინფორმაცია 52 საერთაშორისო გამოფენის შესახებ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აქტიურად არის ჩართული „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივის განხორციელებაში, რომელიც ისტორიული აბრეშუმის გზის ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობას ითვალისწინებს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში პალატა ნაყოფიერად თანამშრომლობს ჩინურ მხარესთან. გაიმართა რამდენიმე ვიზიტი როგორც საქართველოში, ისე ჩინეთში. შედეგად:

- ხელი მოეწერა საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის დაფუძნების ოქმს. ასოციაციის ძირითადი მიზანი ბიზნეს, სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობაა.
- ჩინეთის ქალაქ იუში გაიხსნა სპეციალური საბაჟო საწყობი, სადაც ქართული პროდუქციის განთავსებაა შესაძლებელი.
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით, საქართველოდან ჩინეთში ექსპორტზე გავიდა ქართული ღვინით დატვირთული 10 კონტეინერი.
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელმა ჩინეთში გახსნა 10 „ქართული სახლი“, იგეგმება 50-მდე ასეთი სახლის გახსნა.
- მალე საქართველოში „აბრეშუმის გზის საინფორმაციო ცენტრი“ გაიხსნება. პროექტს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და აბრეშუმის გზის საერთაშორისო ვაჭრობის პალატა (SRCIC) ერთობლივად განახორციელებენ.
- ჩინეთში, სინძიანის პროვინციაში სერვის-ცენტრი გაიხსნება, სადაც „ერთი



სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივაში ჩართული 25-მდე ქვეყნის წარმომადგენლობა იმუშავებს. ფართი პალატას 3 წლის ვადით უსასყიდლოდ გადმოეცემა და იქ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლობა იმუშავებს, რაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აქტიურად მუშაობს სხვადასხვა ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება როგორც ქართული, ასევე უცხოური კომპანიების სავაჭრო-საინვესტიციო წინადადებების და სხვა ბიზნეს ინფორმაციის გაცვლა. განსაკუთრებით იმ ეტაპზე, როდესაც ზოგიერთ ქვეყანასთან მჭიდრო საინვესტიციო-სავაჭრო ურთიერთობები არ არსებობს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს თავის პარტნიორ პალატებთან აქტიური თანამშრომლობის გზით ხელი შეუწყოს ქართული კომპანიებისთვის ახალი ბაზრების მოძიებასა და საქმიანი ურთიერთობების არეალის გაფართოებას. მოლაპარაკებებისა და ურთიერთშეთანხმების შედეგად, პალატამ 2016 წელს გააფორმა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების მემორანდუმები 12 ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ჩეხეთი, ყირგიზეთი, ხორვატია, ყაზახეთი, სლოვენია, ზამბია, ყატარი, მონტენეგრო, ბრაზილია, აბრეშუმის გზის საერთაშორისო ვაჭრობის პალატა, ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭო).

#### **პრიორიტეტული ღონისძიება 4.5: „ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (Responsible Business Conduct - RBC) პოპულარიზაცია“**

ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) სამეწარმეო სექტორში პოპულარიზაციის მიზნით, შედგა შესაბამისი ადგილობრივი ორგანიზაციის (სამოქალაქო განვითარების სააგენტო - „სიდა“) იდენტიფიცირება. ამასთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) თანამშრომლობით და მათი მხარდაჭერით, ადგილობრივი ორგანიზაციების, ასევე, საჯარო სექტორის ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა ცნობიერების ამაღლების კონფერენცია.

#### **სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა**

##### **პრიორიტეტული ღონისძიება 5.1: „მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება“**

2015 წელს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია საწარმოებსა და შინამეურნეობებში ინოვაციური აქტივობების და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების

შესასწავლად. შესაბამისად, საქსტატმა 2016 წლის პროგრამით გათვალისწინებულ სტატისტიკურ სამუშაოთა ფარგლებში განახორციელა შემდეგი კვლევები:

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები შინამეურნეობებში (2016 წელი);
- საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევის შედეგები;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებული ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის ფარგლებში, რომლის ერთ-ერთი კომპონენტის მიზანია რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის ინოვაციური და სამეწარმეო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, განხორციელდა საჭიროებების კვლევები შემდეგ ლოკაციებზე: კახეთი - თელავი, გურჯაანი, იმერეთი - ქუთაისი, რაჭა - ამბროლაური, გურია - ოზურგეთი, შიდა ქართლი - გორი, ციხისთავი, ქვემო ქართლი - ბოლნისი, აჭარა - ხულო.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ, USAID-ის პროექტ ZRDA-სთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ინოვაციურ მეწარმეობაზე ცნობადობის გაზრდის მიზნით, რეგიონული ინოვაციების დღეები გამართა. პირველი ღონისძიება ქ. ზუგდიდში 2016 წლის 12-13 ივლისს ჩატარდა. სააგენტომ ადგილობრივ მოსახლეობას, ახალგაზრდებს, მეცნიერებსა და მეწარმეებს, გააცნო სახელმწიფოს ხედვა ინოვაციების განვითარების კუთხით და წარადგინა საკუთარი პროგრამები, პროექტები და სერვისები. რეგიონებში ინოვაციური დღეები ჩატარდა ახალციხეში, მარნეულსა და გორში.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ და საქართველოს საპარტნიორო ფონდმა, ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის „სტარტაპ საქართველოს“ ფარგლებში, პროგრამის პრეზენტაციის მიზნით საინფორმაციო შეხვედრები გამართა დედაქალაქსა და რეგიონებში (ახალციხეში, ახალქალაქში, მცხეთაში, გორში, თელავში, რუსთავში, მარნეულში, ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ამბროლაურში).

რეგიონებში (ზესტაფონი, თერჯოლა, ხარაგაული, ბაღდათი, თელავი) კომპიუტერსა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის შესწავლის მიზნით, ასევე ინოვაციურ მეწარმეობაზე ცოდნის/ტრენინგების დაგეგმვაზე განხორციელდა შეხვედრები მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებთან, ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან (საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა 80-მდე მეწარმესთან). შეხვედრების ფარგლებში გამოიკითხა მათი საჭიროებები საქმიანობის, ტექნოლოგიების და უნარ-ჩვევების მიმართულებით. ასევე, განხილულ იქნა საკითხები, რომელიც ხელს შეუწყობს ინტერნეტთან წვდომის გაუმჯობესებას და საკუთარი ბიზნესის განვითარებას. ინოვაციური მეწარმეობის კუთხით, საუბარი შეეხო ინტერნეტის და ელექტრონული კომერციის გამოყენებას. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება სპეციალური ტრენინგ კურსის შემუშავება მეწარმეებისთვის e-commerce, e-business და e-governance-ის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროდუქტის და წარმოების

განვითარებას.

ინოვაციური ბიზნეს-უნარების განვითარებისთვის ტრენინგების უზრუნველსაყოფად, თბილისის ტექნოპარკში მიმდინარე პროექტის - ბიზნეს ინკუბატორის ფარგლებში, 15 გუნდისთვის ჩატარდა 25-მდე ტრენინგი და ვორკშოპი. დაემატა მაკროსოფტის სერვისები სტარტაპებისთვის და ყოველკვირეული ტრენინგები ფიჩინგში. 19-მა ახალმა გუნდმა გამოთქვა სურვილი ბიზნეს ინკუბატორის პროექტში მონაწილეობაზე.

დაიწყო და დასრულდა პირველი სტუდენტური პრე-აქსელერატორის პროექტი კავკასიის უნივერსიტეტში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 6-მა გუნდმა, საიდანაც ერთმა მონაწილემ პროექტის დასრულების შემდეგ გაიმარჯვა სტარტაპ საქართველოს პროექტში ტექნოლოგიური მიმართულებით. მოლაპარაკება შედგა დამატებით 5 უნივერსიტეტთან და 4 უცხოელ მენტორთან, რომლებიც ინდივიდუალურად იმუშავებენ უნივერსიტეტებთან პრე-აქსელერატორების გამართვის კუთხით.

ინოვაციების და R&D-ს წამახალისებელი ინსტრუმენტების შემუშავების და განხორციელების მიზნით, შეხვედრები მოეწყო საქართველოში არსებულ კერძო და სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი მიმართულების დაწესებულებებთან. მათზე ევროკავშირის საგრანტო პროგრამებთან დაკავშირებით შესწავლილ იქნა საგრანტო პროექტებში მონაწილეობისათვის საჭირო ინსტრუმენტები (როგრებიცაა: „InnovFin“, „CORDIS“, „Idealist“, „Enterprise Europe Network“, „EUforBusiness- Credit Line“ და სხვა) და კონკრეტული მსვლელობების შესახებ მეცნიერთათვის გაიცა რეკომენდაციები.

2016 წლის 15 სექტემბერს საინვესტიციო ბანკისა (EIB) და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ტექნოპარკში ჩატარდა ერთობლივი ღონისძიება, სადაც საქართველოში არსებული ინოვაციური ბიზნესისთვის ფინანსური დახმარების ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობის საკითხები იქნა განხილული. კერძოდ, აქცენტი გაკეთდა InnovFin-ის პროგრამაზე, რომელიც კომერციულ ბანკებს ან/და იმ ინსტიტუტებს, ვისაც სურვილი აქვთ, რომ დააფინანსონ ინოვაციური პროექტები, მხარს უჭერს და შესაბამისი სპეციალური საგრანტო პროგრამებით ახდენს იმის გარანტირებას, რომ აღნიშნული სესხები იქნება დაბრუნებული. ასევე, მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია სხვა მრავალი ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია ინოვაციური პროექტების განვითარებისთვის.

„ევროკავშირის კვლევის და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის - ჰორიზონტი 2020“-ის და „ევროპის მეწარმეთა ქსელის - EEN“-ის საგრანტო და საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით, სააგენტომ პროექტ „East Invest“-ის მხარდაჭერით მოაწყო საინფორმაციო გაცნობითი დღეები, სადაც მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა პრაქტიკული მაგალითების მეშვეობით ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს მიაწოდეს მნიშვნელოვანი ინფორმაციები და გასცეს საგრანტო კონკურსისთვის საჭირო რეკომენდაციები.

პრიორიტეტული ღონისძიება 5.2: „ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება“

2016 წლის 1 იანვრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით მცირე (5 000 ლარამდე) საგრანტო პროგრამის ფარგლებში სულ საააგენტომ მიიღო 175 საგრანტო განცხადება. შერჩეული წინადადებების და პროექტების (მოკლე სია) განხილვა განხორციელდა საგრანტო საბჭოზე. სულ დაფინანსდა **80 საგრანტო პროექტი, ჯამში გაიცა 276 424 ლარი.**

განხორციელდა გამარჯვებული პროექტების დაფინანსება. კერძოდ:

**პროტოტიპირების მიმართულებით** მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 48 პროექტი;

*(ციბოს ავთვისებიანი სიმსივნის ადრეული დიაგნოსტიკა სისხლის პლაზმის შრატის დსმ კვლევის საფუძველზე; Pawwwwn ონლაინ პლატფორმა; Educare Global ვებ-დეველოპმენტი; „უკვე“ მობილურის აპლიკაცია; Tbilisi 360 მობილურის აპლიკაცია; სოფლის მეურნეობის ნარჩენებისგან გლუკოზის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგია; ქრუდფანდინდის ქართული ონლაინ პლატფორმა; adcoin.ge (ვებ-დეველოპმენტი); „ანტიბრაკონიერი“, შეიქმნა მოწყობილობის პროტოტიპი, რომელიც საშუალებას მისცემს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განახორციელოს ზედამხედველობა ბრაკონიერობაზე; Admove პროექტი (კერძო მანქანებზე სარეკლამო ფართის გაქირავება); პროექტი „ანაბანა“ (სამაგიდო თამაშის Scrabble-ის ქართული ვერსიის შექმნა); პროექტი „გუსტავი“ (სამრეცხაოს ადგილზე მომსახურება); პროექტი „ჭკვიანი სახლი“ (ვებ-დეველოპმენტი); პროექტი „Treepex“ (მწვანე ლოიალურობის პროგრამა, მობილურის აპლიკაციის მეშვეობით ხეების დარგვა); ვირტუალური რეალობის გამოყენებით მანქანის სიმულატორი მოწყობილობა/პროგრამული უზრუნველყოფა (DriVR); მოძრავი აუგმენტური რეალობის მოწყობილობა (MARD); პროექტისთვის „ჰოლო“ ჰოლოგრამის პროტოტიპის შექმნა; მობილური აპლიკაცია ანდროიდ და IOS პლატფორმებზე, გაფართოებულ რეალობაში რესტორნების მენიუს სანახავად; „Smart Light On“, გარე განათების ოპტიმიზაციის სისტემის პროტოტიპი, რომელიც ამცირებს ავტოავარიებს; MarsIn პროექტისთვის პროტოტიპის შექმნას, რომელიც ითვალისწინებს მარსის მისიებში ჩართვას და მისი ზედაპირის კვლევას, ეს არის ნანოტექნოლოგიური რობოტი, რომელიც სპეციალურად განკუთვნილია მარსის ზედაპირზე სიარულითთვის (NASA-სთვის წარსადგენად) და სხვა).*

**საქართველოში ღონისძიების გამართვა: 10 პროექტი**

*(ჰაკათონი; ედუჰაკი; Google I/O Extended 2016; Seedstarstbilisi 2016; ATSUHACK, F-creathon; კრეათონი - სამაგიდო თამაშიდან ბიზნესამდე; საახალწლო თემატიკის არქიტექტურული მეიქათონი, ქ. ზუგდიდში და სხვა).*

**სამოგზაურო გრანტების** ფარგლებში 2016 წელს დაფინანსება მიიღო 20 ბენეფიციარმა, რომელთაც აიმაღლეს კვალიფიკაცია სხვადასხვა სახის საერთაშორისო კონფერენციებზე, მონაწილეობა მიიღეს კონკურსებსა და შეჯიბრებებში. 2016 წლის 18-23 ივლისს, ქ. პიატრა ნეამტში (რუმინეთის რესპუბლიკა) ინფორმატიკის ცენტრალური ევროპის ქვეყნების ოლიმპიადაზე, ქართველმა მონაწილეებმა აიღეს ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები. სამოგზაურო გრანტების ფარგლებში გრანტის ბენეფიციარმა მონაწილეობა მიიღო ინოვაციების გლობალურ სამიტში, რომლის შედეგადაც ბენეფიციარი ჩაერთო სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ინოვაციურ პროექტში, სადაც გრანტის ბენეფიციარის მონაწილეობით შეიქმნა მობილური აპლიკაცია ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მიზნით. აღნიშნულმა პროექტმა გაიმარჯვა აშშ-ში გამოცხადებულ

კონკურსში (ჰაკათონში) და გამარჯვებულ გუნდს პრიზის სახით გადაეცა 100 000 აშშ დოლარი.

### პრიორიტეტული ღონისძიება 5.3: „ინოვაციების და R&D კომერციალიზაციის მხარდაჭერა“

გამოყენებით კვლევასთან დაკავშირებით განხორციელდა სიტუაციური ანალიზი. კერძოდ, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით და მასაჩუსეტისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) ექსპერტების მიერ 2015 წელს დაიწყო კვლევითი ინსტიტუტების ტექნიკური აუდიტის განხორციელება, რაც მოიცავს კვლევითი ინსტიტუტების კომერციალიზაციის პოტენციალის შესწავლას, ასევე გამოყენებითი კვლევების კომერციალიზაციის პროექტების იდენტიფიცირებას.

აღნიშნული ინიციატივის შედეგად, ქვეყნის მასშტაბით R&D-ის შესაძლებლობის, ადამიანური რესურსის პოტენციალის იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებული კვლევის მიხედვით იდენტიფიცირებული იქნა 27 კვლევითი ინსტიტუტი, სადაც განხორციელდა შესწავლა, განისაზღვრა R&D პოტენციური მიმართულებები, რაშიც ქვეყანას გააჩნია კონკურენტული უპირატესობა და მიღებული 96 პროექტიდან (application) იდენტიფიცირებული იქნა 13 პროექტი, რომელთაც გააჩნიათ კომერციალიზაციის გლობალური პოტენციალი. შერჩეული 13 პროექტიდან გამოიკვეთა 6 პროექტი, რომელსაც აქვს მყისიერი გლობალური კომერციალიზაციის პოტენციალი შემდეგ სფეროებში: აგრარული ნარჩენების გადამუშავება, სისხლის პლაზმის მემწვობით კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა, ბაქტერიოფაგები, ჰოლოგრაფიული - პოლარიზებული სისტემები, სახამებლის ჰიდროლიზი და სხვა.

2016 წლის მარტში დაიწყო თანამშრომლობა ამერიკის მთავრობასთან ტექნოლოგიების გადაცემის სისტემის შემუშავების მიზნით. 2016 წლის აგვისტოში საქართველოში შედგა ამერიკის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის ტექნოლოგიების გადაცემის მიმართულებით მთავარი მრჩეველის მუკულ რანჯანის ვიზიტი. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში მოხდა უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში არსებული სიტუაციის შესწავლა R&D-ს კომერციალიზაციისა და ტექნოლოგიების გადაცემის მიმართულებით. ზემოაღნიშნული შეხვედრების საფუძველზე, მომზადა ანგარიში საქართველოს კვლევით ინსტიტუტებში ტექნოლოგიების გადაცემის მიმართულებით არსებული მდგომარეობისა და სამომავლო განსახორციელებელი ქმედებების შესახებ რეკომენდაციებზე.

ქვეყნის მასშტაბით R&D-ის შესაძლებლობის, ადამიანური რესურსის პოტენციალის იდენტიფიცირების მიზნით 2016 წლის სექტემბერში დაიწყო მუშაობა კვლევითი ინსტიტუტებისა და მათში დასაქმებული მეცნიერების შესახებ ბაზის შესაქმნელად. შედგა შეხვედრები საქართველოში არსებულ კერძო და სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი მიმართულებების დაწესებულებებთან. მეცნიერების შესახებ მონაცემთა ბაზაში გაერთიანდა 70-მდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი.

კვლევითი ინსტიტუტებისა და მათში დასაქმებული მეცნიერების შესახებ ბაზის ანალიზის საფუძველზე დაგეგმილია არსებული პოტენციალის შეფასება და კლასტერული რუკის ფორმირება.

GIZ ის მხარდაჭერით, განისაზღვრა რამდენიმე პოტენციური კლასტერი (მათ შორის IT და e-commerce, Plastics, Biotech), რომელი მიმართულებითაც დაგეგმილია სიღმისეული შესწავლა და შემდგომი განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება.

R&D-სა და წარმოებას შორის კავშირის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა პროექტი "ინოვაცია ბიზნესში". პროექტის ფარგლებში 2016 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა რძის პროდუქტების ინდუსტრიასთან, სადაც კონკრეტული საჭიროებების და სირთულეების მიხედვით კომპანიების მიერ დაისვა საჭირო ამოცანები; შეხვედრას ესწრებოდა დარგის სამეცნიერო სექტორი. ამ ეტაპზე მეცნიერები ამზადებენ პრეზენტაციებს, რომელსაც წარუდგენენ ბიზნეს სექტორს. ღონისძიების მიზანია სამეცნიერო იდეების ბიზნეს სექტორში კომერციალიზაცია და კვლევების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული ფორმატის შეხვედრები ჩატარდება საქართველოში განვითარებულ ყველა სხვა ინდუსტრიებთანაც.

2016 წლის ნოემბერში სააგენტოს მიერ დაიწყო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, ტექნოლოგიების გადაცემის ეროვნული ოფისის შექმნის უზრუნველსაყოფად, რომლის მიზანია საქართველოში არსებული პროექტების კომერციალიზაციის ხელშეწყობა და ქართული პროდუქტების გლობალურ ბაზარზე გატანა, ლიცენზირების განხორციელებისა და spinoff კომპანიების (სტარტაპების) დაფუძნების გზით.

2016 წლის 1-2 დეკემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო და სასაქონლო ნიშნების ოფისთან (USPTO) და აშშ-ს კომერციული სამართლის განვითარების პროგრამასთან (CLDP) თანამშრომლობით, საქართველოს ტექნოპარკში ჩატარდა სემინარი თემაზე „ტექნოლოგიების გადაცემა: სამართალი, პოლიტიკა და პრაქტიკა.“

აღნიშნული ღონისძიების მიზანი იყო ტექნოლოგიების გადაცემის მიმართულებით აშშ-ს გამოცდილების გაზიარება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და მართვასთან, R&D-ს კომერციალიზაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი, პოლიტიკისა და პრაქტიკული მაგალითების განხილვა. სემინარს ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უნივერსიტეტების, ბიზნესის, საპატენტის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

**პრიორიტეტული ღონისძიება 5.4: „მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება“**

რეგიონებში ფუნქციონირებად ინოვაციების ცენტრების და ზუგდიდის ტექნოპარკის ბაზაზე განხორციელდა სასწავლო პროგრამა - ინიციატივების მართვა, რომელიც გულისხმობს რეგიონებში ახალგაზრდების გააქტიურებას, მათ საერთო იდეის

გარშემო გაერთიანებას, იდეების განხორციელების გზების და შემდეგ ეტაპზე ფონდების მოძიებას. ამ მიმართულებით ტრენინგი გაიარა 70-ზე მეტმა ახალგაზრდამ.

რეგიონებში ფუნქციონირებად ინოვაციების ცენტრების და ზუგდიდის ტექნოპარკის ბაზაზე შესაძლებლობების და უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- Little Beats-ის ვორქშოფი
- Code.org-ის ვორქშოფი
- Lego Robotics-ის ვორქშოფი
- როგორ მუშაობს ფაბ-ლაბი
- როგორ შევქმნათ სტარტაპი
- ინტელექტუალური საკუთრება
- რა არის ციფრული მარკეტინგი
- ტრენინგი: „ახალგაზრდები ინოვაციური განვითარებისთვის“, რომელიც მოიცავს პროგრამირებისა და კომპიუტერული დიზაინის საწყისი ეტაპების შესწავლას, სოციალური მედიის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

სააგენტოს მიერ 2015-2016 წელს უკრაინულ ტრენინგ ცენტრ Skill Up-თან ერთად გადამზადებულ იქნა 135 ტრენერი საინფორმაციო ტექნოლოგიების ყველაზე მოთხოვნადი 9 მიმართულებით.

ტრენერთა მოსამზადებელი პროგრამის პირველი ეტაპი 2015 წლის მიწურულს დაიწყო. მის ფარგლებში გადამზადდა 53 ტრენერი. ტრენერების მიერ მომზადებულ იქნა 613 დამწყები სპეციალისტი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

ტრენინგის მეორე ეტაპი განხორციელდა 2016 წლის გაზაფხულზე და გადამზადდა 82 ტრენერი. სააგენტოსა და ტექნოპარკის მხარდაჭერით, 2016 წელს ტრენერთა მიერ უკვე გადამზადდა 800-ზე მეტი დამწყები სპეციალისტი საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებებით. IT სპეციალისტების მოსამზადებელი ტრენინგები სკოლის მოსწავლეებისთვის განხორციელდა შემდეგ რეგიონებში: ოზურგეთი, ზუგდიდი, გორი, ხაშური, მცხეთა, ქსანი, სამტრედია. ტრენერები დასაქმდნენ თბილისის წამყვან ტრენინგ ცენტრებში, მათ შორის: ჯეოლაბი, UG Lemondo ტრენინგ ცენტრი და მზიური.

პრიორიტეტული ღონისძიება 5.5: „ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (FabLab-ები; iLab-ები; TechPark; BroadBand კომპიუტერიზაციისთვის)“

ინოვაციების ეკოსისტემის შექმნისა და ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, პირველად საქართველოში შეიქმნა მაღალი ტექნოლოგიების და ინოვაციების განვითარების ცენტრი (ტექნოლოგიური პარკი), რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2016 წლის იანვრიდან. ტექნოპარკში მოწყობილია უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები. ტექნოპარკი წარმოადგენს სივრცეს შემოქმედების, თანამშრომლობის და განვითარებისთვის, რომელშიც ხელმისაწვდომია:

1. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FabLab) - უახლესი დანადგარებითა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით დაკომპლექტებული ლაბორატორიული სივრცე მოდელირებისა და პროტოტიპირებისათვის. ლაბორატორია მოიცავს რამოდენიმე სახეობის მაღალი წარმადობის 3D პრინტერს, ლაზერულ მჭრელს, 2 ტიპის პროგრამირებად დაზგას - CNC-ს, ელექტრონიკის მიმართ, პლატების საბეჭდ ციკლს და სხვა დანადგარებს იდეის მატერიალიზაციისათვის.
2. საერთო სამუშაო სივრცე (Co-working Area) - საერთო სამუშაო სივრცე სტარტაპებისა და ე.წ “ფრილანსერებისთვის”, სადაც შესაძლებელია, გარკვეული პირობებით, სამუშაო ადგილის მიღება, საკუთარი იდეის თუ Start-up-ის გასავითარებლად.
3. საერთაშორისო კომპანიების შოურუმები და ფუნქციური სივრცეები სატესტო აპარატურით (Intel, HP, Autodesk, Samsung, Cisco, Epson) - სივრცეში ხორციელდება მაღალტექნოლოგიური კომპანიების უახლესი პროდუქციის მომხმარებლისათვის გაცნობა. ტექნიკა ხელმისაწვდომია ტექნოპარკის წევრებისათვის ტესტირებისა და დეველოპმენტისთვის.
4. დამწყები კომპანიების ინკუბატორი (Start-up ინკუბატორი) - სადაც ხორციელდება სხვადასხვა საკონსულტაციო სერვისების შეთავაზება.

2016 წელს ტექნოპარკმა უმასპინძლა სხვადასხვა თემატიკის 300-ზე მეტ ღონისძიებას, მათ შორის მეწარმეობის ხელშეწყობის, შემეცნებით და ბიზნეს ფორუმებს, რომლებსაც დაესწრო დაახლოებით 15 000 ადამიანი.

რეგიონების მასშტაბით, ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნის და განვითარების კომპონენტის ფარგლებში შეიქმნა და ფუნქციონირებს ტექნოპარკი ქ. ზუგდიდში და 3 ინოვაციის ცენტრი ხარაგაულში, ჭოპორტსა და ბაღდათში. 2017 წელს დაგეგმილია 3 რეგიონალური ინოვაციების ჰაბის და 10 ინოვაციების ცენტრის შექმნა. ინოვაციების ინფრასტრუქტურის ბაზაზე განხორციელდება ინოვაციების და მეწარმეობისთვის სერვისების მიწოდება ფიზიკური პირებსა და მეწარმეებისთვის (ტრენინგები, ვორკშოპები, ოლიმპიადები, მენტორშიპი, ციფრული უნარების



განვითარება, სტარტაპებისა და მეწარმეებისთვის კონსულტაცია, პროტოტიპირების ხელშეწყობა და სხვა).

2016 წელს განისაზღვრა 17 ლოკაცია სამრეწველო ლაბორატორიების შესაქმნელად მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2016 წელს შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო 3 FabLab-მა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე დაგეგმილია 14 სამრეწველო ლაბორატორიის გახსნა (10 რეგიონებში და 4 დედაქალაქში). 2017 წელს დაგეგმილია კიდევ 3 FabLab-ის შექმნა რეგიონული ინოვაციების ცენტრების ბაზაზე. სულ, ამ ეტაპზე საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 8 FabLab-ი, მათ შორის 2 რეგიონში, ხოლო 6 თბილისში.

Startup-ებისა და SME-თვის FabLab-ებში ტექნიკური და ბიზნეს-ტრენინგების უზრუნველყოფის მიზნით თბილისის ტექნოპარკში მიმდინარე წელს განხორციელდა პროექტი „დაიწყე ბიზნესი ფაბლაბთან ერთად“, რომელშიც მონაწილეობდა 20 გამარჯვებული გუნდი, საიდანაც დღევანდელი მონაცემებით სულ მცირე 6 სტარტაპია და აწარმოებს ფაბლაბში შექმნილ პროდუქტს. პროექტის მეორე ეტაპზე მიღებულ იქნა 25 გუნდი, მათ შორისაა ზუგდიდისა და ფოთის გუნდები. პროექტის ბენეფიციარებისთვის (8 სტარტაპი) ჩატარდა ფაბლაბის დანადგარის (ლაზერული მჭრელი) სპეციალური პროგრამის შემსწავლელი ტრენინგი.

მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურით რეგიონების დაფარვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 28 ივლისს N375 დადგენილებით დაამტკიცა საქართველოში ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის განხორციელების შედეგად ქვეყანა სრულყოფილად დაიფარება ოპტიკური მაგისტრალებით, რათა ხელი შეეწყოს ადგილობრივი ოპერატორების მიერ საცალო ქსელის განვითარებას და ინტერნეტის აბონენტებამდე მიყვანას. შედეგად, საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა ისარგებლებს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით, რაც კიდევ უფრო გაზრდის მოქალაქეების ჩართულობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამასთან, პროგრამა ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო სფეროში თავისუფალ სამეწარმეო საქმიანობას, კონკურენციის განვითარებას და კერძო ინვესტიციების მოზიდვას. პროგრამა ორი ეტაპისგან - ფინანსური ხელშეწყობისა და ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტებისგან შედგება.